დანართი N1

პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტი

მუხლი 1. ზოგადი ნორმები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა განსაზღვრავს შპს „საქართველოს მელიორაციაში“ (შემდგომში – „კომპანია“) პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს, მიზნებსა და საფუძვლებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ საქართველოს კანონში გამოყენებულ ტერმინებს.

მუხლი 3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ დოკუმენტის მიზანია მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების მეთოდების შესახებ.
2. ეს დოკუმენტი ვრცელდება ყველა იმ პირზე, ვის პერსონალურ მონაცემებსაც კომპანია ამუშავებს, ასევე მონაცემთა მიმღებებზე და უფლებამოსილ პირებზე.

მუხლი 4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები

1. მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭირვალედ და ღირსების შეულახავად.
2. მონაცემები მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნისათვის. დაუშვებელია მონაცემთა დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.
3. მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება.
4. მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში განახლებული. არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე.

5. მონაცემები შეიძლება შენახული იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.
6. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

მუხლი 5. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი

პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის პერსონალური მონაცემებიც მუშავდება.

მუხლი 6. პერსონალურ მონაცემთა კატეგორია და მისი დამუშავება

კომპანია ამუშავებს რამდენიმე კატეგორიის პერსონალურ ინფორმაციას, როგორიცაა: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, დაბადების ადგილი, ხელმოწერა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები, ვიდეოჩანაწერი, ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემები, ფინანსური ინფორმაცია, დოკუმენტური ინფორმაცია.

მუხლი 7. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებია:

ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადებად;

გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად;

ე) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა;

ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად;

ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად;

კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად.

მუხლი 8. ვიდეომონიტორინგი

1. კომპანია ახორციელებს ვიდეომონიტორინგს მის კუთვნილ ტერიტორიაზე (კომპანიის გარე პერიმეტრზე, დერეფანში, ფოიეში, ადმინისტრაციის შენობაში და კომპანიის სახელზე მფლობელობაში არსებულ ობიექტებზე);
2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საიდუმლო ინფორმაციისა და საკუთრების დაცვა. ვიდეომონიტორინგის განხორციელების ადგილებზე თვალსაჩინოდ გამოკრულია ვიდეომონიტორინგის განხორციელების გამაფრთხილებელი ნიშანი, დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაციის მითითებით.
3. კომპანიას აქვს ყველა საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა ვიდეო ჩანაწერების უსაფრთხოებისა და არამართლზომიერი გამოყენების დაცვის მიზნით.
4. კომპანიაში განსაზღვრულნი არიან ვიდეოჩანაწერებზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ვიდეოჩანაწერების შენახვაზე, ჩანაწერებთან უფლებამოსილ პირთა დაშვებაზე და ჩანაწერების განადგურებაზე.

მუხლი 9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტი სარგებლობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ყველა უფლებით. მონაცემთა სუბიექტის

უფლებები შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 10. მონაცემთა უსაფრთხოება

1. კომპანიას მიღებული აქვს ყველა საჭირო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომა, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. კომპანიაში მიღებული ზომები უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, შემთხვევით ან/და უკანონოდ გაცემისა და განადგურებისაგან დაცვას.
3. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მონაცემების დამუშავება ესაჭიროებათ მათზე დაკისრებული სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად.

მუხლი 11. ინციდენტის მართვა

1. ინციდენტი არის პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემთა არამართლზომიერ ან შემთხვევით დაკარგვას, უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.
2. ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში თანამშრომელი ატყობინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს, რომელიც აღრიცხავს ინციდენტს და 72 საათის განმავლობაში წერილობით ან ელექტრონულად ატყობინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ აღნიშნული ინციდენტი გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს.
3. თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მონაცემთა სუბიექტისთვის მნიშვნელოვან ზიანს, ინციდენტის აღმოჩენისას, დაყოვნების გარეშე უნდა ეცნობოს მონაცემთა სუბიექტს აღმოჩენილი ინციდენტის შესახებ.

მუხლი 12. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების შენახვის ვადები განსაზღვრულია კომპანიაში არსებული წესის – შპს „საქართველოს მელიორაციის“ საქმეთა ნომენკლატურის დოკუმენტის შესაბამისად.

მუხლი 13. გასაჩივრების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

მუხლი 14. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც კომპანიაში უზრუნველყოფს შემდეგს:
   ა) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიღების ან შეცვლის შესახებ, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და დახმარების გაწევას;
   ბ) მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციების შემუშავებას და კომპანიის თანამშრომელთა მიერ მათი შესრულების მონიტორინგს;
   გ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
   დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციის მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;
   ე) მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
   ვ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.